შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის I შესახვევი, პ. ქავთარაძის №27-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. გავლენის შეფასება მომიჯნავე ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2017 წელი

ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის I შესახვევი, პ. ქავთარაძის №27-ის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი. გავლენის შეფასება მომიჯნავე ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე

საპროექტო ტერიტორიას, რომლის საკადასტრო კოდია 01.14.03.040.392 უშუალოდ ესაზღვრება შემდეგი საკადასტრო ერთეულები:

1. ს/კ 01.14.03.040.393 ტერიტორიის ფართი შეადგენს 1657 მ^2-ს. მასზე განთავსებულია ერთი ორსართულიანი რკინაბეტონის კონსტრუქციებისაგან აგებული ნაგებობა. ნაგებობა განთავსებულია საპროექტო ტერიტორიის წითელი ხაზის გასწვრივ.
2. ს/კ 01.14.03.040.278 ტერიტორიის ფართი შეადგენს 2769 მ^2. მასზე განთავსებულია შვიდი ერთეული ნაგებობა. საპროექტო ტერიტორიის გასწვრივ განლაგებულია 3/2 და 4/1 ნაგებობები.
3. ს/კ 01.14.03.040.354 ტერიტორიის ფართი შეადგენს 1289 მ^2-ს და საკადასტრო რუკის მიხედვით ტერიტორია თავისუფალია.
4. ს/კ 01.14.03.040.283 ტერიტორიის ფართი შეაადგენს 1379 მ^2. მასზე განთავსებულია ორი შენობა ნაგებობა 1/9 და 2/2. საპროექტო წითელი ხაზიდან გამოყოფილია სერვიტუტით, რომლის სიგანეა 11 მ.
5. ს/კ 01.14.03.040.228 ტერიტორიის ფართი 684 მ^2. საპროექტო შენობიდან დაცილებულია 16 მ-ით.

საპროექტო შენობისაგან მოსალოდნელი გავლენა მომიჯნავე ნაგებობებზე განვიხილოთ ორ სტადიაში:

1. ქვაბულის დამუშავებისა და აგების პროცესში;
2. ექსპლუატაციის პროცესში.

განვიხილოთ ცალ-ცალკე

1. ქვაბულის დამუშავებისა და აგების პროცესი.

საპროექტო შენობას არ გააჩნია მიწისქვეშა სართული გრუნტის წყლების მაღალი ჰორიზონტის გამო და შესაბამისად ქვაბულის დამუშავება ხდება 0.7 მ სიღრმეზე და შემდეგ ეწყობა ბურღვა-დასატენი ხიმინჯები სიღრმით 8 მ. მთელი დატვირთვები გადაეცემა არაკუმშვად ქანებს. მომიჯნავე შენობების საძირკვლები ჩაღრმავებულია დაახლოებით 1.20-1.50 მ სიღრმეზე და ეფუძნება თიხოვან გრუნტებს. სქემა შემდეგია



რადგან საპროექტო შენობის ქვაბულის ძირის ნიშნული არ ცდება არსებული შენობების საძირკვლის ძირებს და დაფუძნება ხდება ბურღვა-დასატენი ხიმინჯებით არაკუმშვად გრუნტებზე, მომიჯნავე შენობებთან მიახლოება შეიძლება ნებისმიერი მანძილით.

დასკვნა

პროექტში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ცალსახად ვასკვნით, რომ საპროექტო შენობა გავლენას არ მოახდენს მომიჯნავე ნაგებობებზე ვერც აგების და ვერც ექსპლუატაციის პროცესში.

კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე